ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

790 20-33-05

577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №170

20 ივნისი 2013 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კულტურის სახლის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვასთან დაკავშირებით შექმნილი საკონკურსო კომისიის ტექნიკურ-ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N3 ბრძანების (2011 წლის 10 თებერვალი) მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, საკონკურსო კომისიის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას საკონკურსო კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

1.1. ანტონ ხუნდაძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - აპარატის უფროსი;

1.2. პაატა ბერიშვილი - მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უმცროსი საჯარო თანამდებობის პირის - სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებელი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში - საკონტაქტო პირი (ტელ: 577 95-43-70)

1.3. ლალი თავაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი - სპეციალისტი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში;

1.4. თეა უჯმაჯურიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი ანალიზისა და იურიდიული კონსულტაციის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი.

2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს საკონკურსო კომისიის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყობა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. №4.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე
ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,
იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*